ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

5 დეკემბერი
ხუთშაბათი
2024 წელი
№49 (9363)
ფასი 40 თეთრი

ლმერთო გევედრები, შეაყვარე ქართველს – ქართველი და ორივეს საქართველო

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება პოლიტიკურ ველზე, ნამდვილად წარმოუდგენელია და აუტანელია ნორმალური ადამიანებისათვის. ფაქტი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ რადიკალურმა ოპოზიციამ მოუწყო ქართველ ხალხს, სასაცილო კი არა, სატირალია. როგორ არ გინდა დაიჯერო, რომ ოპოზიციური პარტიები არჩევნებში დამარცხების შემდეგ მსოფლიოს გასაგონად პეტიციებს დაწერდნენ - ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა, ქვეყნის დისკრედიტაციის მიზნით მომზადებული წერილი ბრიუსელში ქალბატონმა მინა ბოკუჩავამ ჩაიტანა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაო!

ევროპარლამენტში ჩატანილ პასკვილს კი ნამდვილად ქვეყნის მტრების და ჯაშუშების მეტი სხვა არავინ იკადრებდა. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლების ქვეყნის საზიანოდ გადადგმული ნაბიჯი კი ბევრმა სერგო ორჯონიკიძის, შადიმან ბარათაშვილის, ყორღანაშვილის ქმედებად შეაფასა, ანდა უკეთეს ნაბიჯს მოველოდით რადიკალური ოპოზიციიდან!?. ასე იყო სააუკუნეების მანძილზე, ასე იყო წინა საპარლამენტო არჩევნების დროსაც, ან რომელი არჩევნები ჩატარდა 2012 წლიდან დღემდე, ოპოზიციის პრეტენზიების გარეშე, - არცერთი?! იგივე წრეზე ტრიალებს ოპოზიცია, თბილ სკამს, დიდ შემოსავალს და თანამდებობას ვერ თმობს.

არჩევნების შემდეგ კატეგორიულად აცხადებენ, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა, თუ საერთაშორისო მასშტაბის დონეზე მომზადებული და ჩატარებული არჩევნები არ გაიმართება, პარლამენტში არ შევალთო.

ხელისუფლებამ გარკვევით განმარტა, მსოფლიო პრაქტიკაში ჯერ არ არსებობს შემთხვევა, რომ ქვეყნის საპარლამენტო არჩევნები საზღვარგარეთის ქვეყნებს ჩაეტარებინოს, ეს ხომ სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავს, ამის გაგება და მოსმენა რადიკალურ ოპოზიციას არ სურს.

ევროპარლამენტარი ქალბატონი **რაით ნვეედალოვა** აცხადებს, - **არცერთ საერთაშორისო დამკვირვებელს არ დაუყენებია ეჭვქვეშ არჩევნების შედეგები და არჩევნების ლეგიტიმურობაზე არავინ დავობს.**

ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, თუ რატომ უნდა ჩატარდეს რაიმე სახის გამოძიება ან არჩევნები.

1200000 ამომრჩეველმა ,,ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, თვით ოპოზიციის წარმომადგენლები ამაყობენ, 5-პროცენტიანი ბარიერი ოთხმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ გადალახაო.

ხაზარაძის პარტიის წარმომადგენელი თავმომწონედ აცხადებს - ,,ლელოს“ მხარი დაუჭირა 182839 ამომრჩეველმა და ჩვენ ამ ხმებს დავიცავთო, ასევე თავი მოაქვთ ,,ნაციონალურ მოძრაობას“, ,,კოალიცია ცვლილებებისათვის“ და ,,გახარია საქართველოსათვის“, რომლებიც ამაყობენ ამომრჩეველთა მიერ მიღებული ხმებით, სამაგიეროდ ვერცერთი ოპოზიციური პარტია კონკრეტულად ვერ ასახელებს არჩევნების გაყალბების ფაქტებს. არცერთ პარტიას საგამომძიებო ორგანოებში არ წარუდგენია ერთი დარღვევის ფაქტიც კი, **მაშ, რას ჩივიან, რას ითხოვენ?** ხელისუფლება რადიკალურ ოპოზიციას, მათ აბსურდულ მოთხოვნებს და კაპრიზებს არ უნდა აყვეს.

76 საერთაშორისო ორგანიზაციის 2800-ზე მეტი აკრედიტებული და ეუთო-ოდირის დამკვირვებლები ერთხმად აცხადებენ, არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარებას.

პარლამენტარი არჩილ გორდილაძე აცხადებს, - რადიკალური ოპოზიციის წარმომაგენლები ჩვეულებრივი ჯაშუშები არიან, ისტორია შეაფასებს მათ ნამოქმედარს.

ევროპარლამენტის დეპუტატების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ **,,ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში პატიოსნად გაიმარჯვა, პატივი ეცით ამ ფაქტს, საქართველოს უფლება აქვს საკუთარი დემოკრატიული გზა აირჩიოს.**

,,ქართული ოცნების“ წევრი, **ქალბატონი მაია ლაშხი აცხადებს, ერთიანი ნაცმოძრაობა შავ ლაქად აზის ქვეყანას! მათი მიზანია, საქართველოს ჩამოქცევა, ამაზე მიუთითებს ის მოღალატეობრივი და ჯაშუშური ქმედება იმ წერილის სახით, რომელიც ევროსაბჭოს გაუგზავნეს.**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

დუმილის დრო აღარ არის!

ძვირფასო თანამემამულენო! დუმილის დრო აღარ არის. მოქალაქეებმა უნდა დავაფიქსიროთ საკუთარი აზრი, რადგან გაჩნდა წითელი ხაზები, რასაც არ უნდა კვეთდნენ მავანნი.

უმაღლესი ხელისუფლის მოწოდება „მშვიდობიან აქციებზე“ არასრულწლოვანების, კერძოდ, სკოლის მცირეწლოვანი მოსწავლეების ჩართვა, დანაშაულია. ეს ის თაობაა, რომლებსაც მშობლებმა უნდა შევუქმნათ სიმშვიდე, სწორი განვითარების პირობები, ბავშვებს ვიმეტებთ დასაღუპად? მომავალს ვუსპობთ? თუ ასე გაგრძელდა, ეს მოიტანს ომს, სამოქალაქო დაპირისპირებას.

კარგად მახსოვს ეროვნული მოძრაობის წლები, თსუს სტუდენტი ვიყავი 9 აპრილს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა რომ დაიწო, რომელიც სწორედ იმ ძალებმა დაამხეს, რომლებსაც დღეს უნდათ ჩვენი ომში ჩაბმა და განადგურება. იცოდეთ, ჩვენი მეგობარი და გულშემატკივარი არავინ არაა, არის მხოლოდ ინტერესი ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდებისა. ჩვენი დამარცხება შეუძლებელია, ქართველების ერთმანეთთან დაჯახებისა და მტრობის გარდა, - ჩვენი „მეგობრები“ შორიდან გვიყურებენ და ფიქრობენ, დაგიხოციათ ერთმანეთიო.

ჩემმა თაობამ გამოიარა უშუქობა, უმუშევრობა, გასაჭირი, მაგრამ გვიყვარდა ერთმანეთი, გავუძელით და გადავრჩით. დიდი იმედით ავირჩიეთ ახალგაზრდა ხელისუფლება - ნაციონალური პარტია, მაგრამ მალე გაგვიცრუეს იმედები. აღარ მოვყვები რა დაატრიალეს ჩვენს ქვეყანაში. დაინგრა და გაუნადგურდა ოჯახები ბევრს, პატივი და ღირსება აჰყარეს ეროვნულობას, რწმენას, განათლებას და ა.შ. ღამე დაპატიმრებულების კერძო საკუთრებას მათი თავისუფლების ფასად 1 ლარად ჩუქნიდნენ სახელმწიფოს, გვახსოვს 2008 წლის სამაჩაბლოს ომი და შეწირული საჯიშე ვაჟკაცები, დაკარგული ტერიტორიები.

,,ქართული ოცნება“ დიდი იმედით ავირჩიეთ. ნელ-ნელა ვითარდება ქვეყანა, მიუხედავად მრავალჯერადი პოლიტიკური რყევებისა, წინ მივდივართ. პირველად ამდენი წლის მანძილზე ქვეყანა დაადგა სუვერენიტეტის გზას, რომელიც არ მოსწონს ვითომ “მეგობრებს” და რევოლუციურ გადატრიალებას გვიპირებენ, იბრძვიან, მათი სამართავი ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად, რასაც უმრავლესობა არ დაუშვებს. მართლაც მოსალოდნელია სამოქალაქო დაპირისპირება. ყველაზე შემაშფოთებელია ახალგაზრდების და მცირეწლოვანების ფარად დაყენება. გვემუქრებიან,

გვაშანტაჟებენ, ერევიან ქვეყნის შიდა საქმეში, არ გვიღებენ ევროპის კარს ჩვენი იდენტობით, ღირსებით, სარწმუნოებით, რითაც დღემდე მოვედით.

რისთვის იბრძვიან? ის, რომ ამ 12 წელში ბევრი რამ გაკეთდა განათლების სისტემაში და კერძოდ, ქვეყანაში? ეროვნულ იდეებსა და პატრიოტიზმის სწავლებაში, ბავშვების უფლებების დაცვისათვის გამახვილდა ყურადღება მათ მოვალეობებზე და აი, მივიღეთ ეს თაობა, რასაც ვხედავთ (ყველას არ ეხება), მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ ეს არ არის მათი ბრალი, ის ჩვენი უფროსი თაობის ბრალია, რომ ვხედავდით როგორ სუსტდებოდა განათლების დონე და ხმა არ ამოვიღეთ. თბილ სავარძელში ჩაჯდომით ხალხის პრობლემები დავივიწყეთ. ეს ბავშვები მშობლების გარეშე იზრდებიან, რომელთაც ენატრებათ ნამდვილი დედის მოფერება, ჩახუტება, ჭკუის დარიგება და არა ვირტუალური დედები.

მოგინოდებთ შვილებო! თქვენი საქმე არაა გაფიცვები! შედით სკოლებში, აუდიტორიებში, დასხედით, ისაუბრეთ, გაანალიზეთ დღევანდელი გლობალური მდგომარეობა და პრობლემები, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს საქართველომ მსოფლიო დღის წესრიგში. ყველას აზრი მოისმინეთ და მერე მოვთხოვოთ მთავრობას მისი შესრულება.

მიყვარხართ ყველა, განურჩევლად ასაკისა და პარტიულობისა. გავერთიანდეთ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის და ნახავთ, რა სწრაფად მივალთ მიზნამდე.

P.S. **ხელისუფლებას ვთხოვ, არ დაუშვათ ესკალაციის გაძლიერება, ბავშვების აქციებში ჩართვა, მკაცრად აკონტროლეთ განათლების სისტემის რეფორმა. ეს უპირველესია, რადგან ამაზე დგას ქვეყნის მომავალი. უამრავი ფაქტი გაქვთ, ვინ და როგორ ურევს ქვეყანას და მიხედეთ, სანამ რაიმე უბედურება მომხდარა. ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.**

ირმა ჩოჩნიძე,
ფინანსისტი

საინფორმაციო შეხვედრა მერიაში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მანანა რატიანი უძღვებოდა.

მისი თქმით, ამ დღის მიზანს წარმოადგენს აივ-ინფექცია/შიდსთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ყურადღების გამახვილება და აივ/შიდსის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკა და მკურნალობა დღეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია და მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

საინფორმაციო შეხვედრას გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სკოლების და ბაგა-ბაღების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ღონისძიება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც გენდერული თანასწორობის საბჭოა.

ხელშეკრულება პროფესიული განათლების სამსახურში

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორმა, ლესლი ბეარმან ლამმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის (ქვეპროგრამა 2)“.

პროგრამის ფარგლებში, საქართველო მიიღებს 68.2 მლნ ლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს და მისი მიზანი იქნება პროფესიული განათლებისა და სწავლების სექტორის მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ეს აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი პირველი სუვერენული სესხია ეროვნულ ვალუტაში.

გადაწყვეტილება თანხვედრაშია საქართველოს ვალის მართვის სტრატეგიასთან.

ახალი ტრაქტორი სოფლებს უფასოდ მოემსახურება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, ახალი NEW HOLLAND თანამედროვე ტიპის ტრაქტორი შეიძინა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხვნა-თესვისთვის გამოიყენება.

ახალი ტრაქტორი ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფლის მოსახლეობას უფასოდ ემსახურება მიწის დამუშავებაში.

პროგრამის მიზანია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ხელშეწყობა, რათა არ დარჩეს არცერთი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი დამუშავების გარეშე.

ღმერთო გევედრები, შეაყვარე ქართველს - ქართველი და ორივეს საქართველო

(გაგრძელება)

ნაცმოძრაობას პოლიტიკური განაჩენი უნდა გამოუტანოს ხელისუფლებამ, ეს ის დესტრუქციული ძალაა, რომელიც ფარულად აგზავნის წერილებს უცხო ქვეყნებში და სამშობლოს, ხალხის, საკუთარი ამომრჩევლის დასჯას ითხოვს. სამწუხაროა და მეტად დამაფიქრებელი პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო 10 წლის მანძილზე და მრავალი უსამართლობა ჩაიდინა, ერთხელაც არ მოუხდია საზოგადოებისთვის ბოდიში, ახლა ,,ქართულ ოცნებას“ ედავება არჩევნების გაყალბებას.

როგორც ჩანს, ოპოზიციის სალოცავი - ბრიუსელია, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის სალოცავია ქრისტიანული ეკლესია, მათი ზნეობრივი სახე კი, რამდენჯერმე გათხოვილი კაცი მიხაილ როთია, ჩვენი კი, სულიერი მოძღვარი და მართლმადიდებელი წინამძღოლი, 91 წლის პატრიარქი, ილია მეორე გვყავს, უსამშობლო აგენტები ქვეყნის მთავარი მტერია, მაკედონელსაც გაუჭირდებოდა გამარჯვება.

საინტერესოა, როგორი სამშობლოს სიყვარულით ზრდიან შვილებს, თვითონ უსამშობლოები, ნუთუ არ ფიქრობენ, როგორ შეაფასებს შთამომავლობა მათ საქციელს.

იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციური პარტიები პარლამენტის მუშაობაში ჩაერთონ და კონსტრუქციული წინადადებებით თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში, უარს აცხადებენ საპარლამენტო მუშაობაზე და აქციების მოწყობით და ლანძღვა-გინებით ირთობენ თავს.

დადგა დრო „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო დაპირება შეასრულოს და რადიკალურ ოპოზიციას და კრიმინალურ პარტიებს საქმიანობა აუკრძალოს, ის, რაც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, საზოგადოებისგან დასაგმობია.

დადგა დრო ხელისუფლებამ იზრუნოს ქვეყნის დამშვიდებისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის.

თემის გაგრძელება

წინამდებარე წერილის შემდეგ აღარ ვაპირებდი რადიკალური ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე მკითხველთა ყურადღების გამახვილებას, მაგრამ ის, რაც 28-29-30 ნოემბრის და 1-2-3-4 დეკემბრის ღამეს ვიხილეთ ტელეეკრანებზე, თბილისის ცენტრში, პარლამენტის წინ, **„მშვიდობიან აქციაზე“**, უფლება არ მაქვს არ გამოვეხმაურო.

დღეს აქციებით და მიტინგებით ვერავის გავაკვირვებთ, ამ ოცდაათი წლის მანძილზე მეტი რა ჩაგვიტარებია. იმდენი ენერგია, ჯაფა და სულისკვეთება, რომლებიც იმ აქცია-მიტინგებზე დაიხარჯა, ჩვენი ბედკრული ქვეყნის აღორძინებისათვის რომ მოგვეხმარა, ჩვენზე ბედნიერი მეორე ერი არ იქნებოდა მსოფლიოში.

ისტორიიდან გვახსოვს, მონღოლთა ურდოში ჩადიოდნენ ქართველები, რომლებიც ნოინებთან და ჩინგის-ხანებთან პასკვილები ჩაქონდათ ქართველი მეფეების ,,საძრახის საქციელზე“, - მე დამნიშნე და შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნებიო, ასე სამარცხვინო საქციელით მარტო მონღოლეთში კი არა, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში და სხვაგანაც ჩადიოდნენ. ახლა ბრიუსელი და ამერიკის კონტინენტია დღის წესრიგში. ისტორიამ არაფერი გვასწავლა. ერთ წრეზე ვბრუნავთ, ამიტომ იყო, ერის დიდმა შვილმა და ცნობილმა მწერალმა **ჭაბუა ამირეჯიბმა,** როგორც კი ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართველ ოპოზიციონერებს შეახსენა **„ფრთხილად ქართველებო, ობოლი ერი ვართო“.**

ვინ დაუჯერა სულმნათ მწერალს, დღე არ გავიდოდა აქცია და მიტინგი არ ჩატარებულიყო თბილისის ცენტრში. სწორედ 90-იან წლებში გადაიბუგა დღვანდელი პარლამენტის შენობა, თბილისის №1 სკოლა და ბევრი სხვა ობიექტიც. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. მას შემდეგ ძალიან ბევრი ხელისუფალი გამოვიცვალეთ, მაგრამ საქართველოს მშვიდობიანი განვითარება ვერ მოხერხდა. თბილისის ომის შემდეგ აფხაზეთი და ცხინვალიც დავკარგეთ, სამი პრეზიდენტი და მთავრობა ხან შეიარაღებული გამოსვლებით, ხან ,,ვარდების“ რევოლუციით დავამხეთ და ქვეყნის დაწყნარებას საშველი არ დაადგა. ყოველი წლის გაზაფხული და შემოდგომა **„მშვიდობიანი“** აქციებით იწყება და ორი-სამი თვე გრძელდება. ერთი სიტყვით, ქართველებს აქციების გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. ახლაც ასეა.

თუ როგორი ,,უსტარი“ მიართვა ევროსაბჭოს ემისრებს ქალბატონმა **თინა ბოკუჩავამ** ზემოთ გამოქვეყნებულ წერილში უკვე მოგახსენეთ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი ,,ქართულმა ოცნებამ“ დაუდო და განვლილ 12 წელიწადში ბევრსაც მიაღწია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანას გავუსწარით, მაგრამ რადიკალური ოპოზიცია მაინც ,,მტკიცედ“ და შეურყვნელად ებრძვის ,,ქართულ ოცნებას“, ითხოვს არჩევნების ხელახლა ჩატარებას, ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიტაციას. აგერ, სულ ახლახან, ნოემბრის ბოლოს, ,,მშვიდობიანი აქცია“ დააანონსეს და 28 ნოემბრიდან მოყოლებული ყოველ საღამოს შიშით მივჩერებივართ ტელევიზორებს.

იცით, ვინ არიან ამ აქციის სულისჩამდგმელები და მონაწილეები?

მოდით, ჯერ ,,მშვიდობიანი აქციის“ მონაწილეებზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. რუსთაველზე, ყოველ საღამოს რამდენიმე ასობით ახალგაზრდა უპირისპირდება პოლიციას, სპეცნაზს. პარლამენტის წინ დაწყებული აქცია იწყება ქვების, რკინის ნაჭრების, შუშის ბოთლების სროლით, საეჭვო სითხეების და საღებავების საშუალებით კედლებზე უხამსი წარწერებით. ყველაფერი აქვთ მომარაგებული. ერთი სიტყვით, აქციებმა მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. რამდენიმე ქუჩაზე დადგეს კარვების სოფელი, მოიმარაგეს ხელკეტები, დროშები. პირველ დღეს 32 პოლიციელი და სპეცნაზელი დაშავდა, დაზიანდნენ ჟურნალისტები. აქციის მონაწილეები თბილისის ცენტრში ანგრევენ და ამტვრევენ რაც ხელში ხვდებათ და ქუჩებში ქმნიან ე.წ. ,,ბარიკადებს“, მათზე არ მოქმედებს არც ცივი წყლით ,,გაგრილება“ და არც მომწამლავი სპრეის შესხმა.

საპროტესტო ტალღა საქართველოში

თბილისსა და საქართველოს ქალაქებში 28 ნოემბრიდან საპროტესტო გამოსვლები დაწყო, მას შემდეგ, რაც ქარული ოცნების“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა 2028 წლამდე დღის წესრიგში არ დააყენოს ევროკავშირის წევრობაზე მოლაპარაკების გახსნის საკითხი და 2028 წლის ბოლომდე უარი თქვას ევროკავშირის საბიუჯეტო გახსნაზე. ამასთან, ,,ქართული ოცნების“ მთავრობა ირწმუნება, რომ მიზნად რჩება 2030 წლისთვის ევროკავშირში საქართველოს შესვლა. აქციების მონაწილეები ხელისუფლებას ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებაში ადანაშაულებენ და ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ.

28 ნოემბრიდან 1 სექტემბრამდე საპოლიციო ძალებმა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქცია სამჯერ დაშალეს ძალისა და სპეცდანიშნულების გამოყენებით და 150-ზე მეტი პირი დააკავეს. სამართალდამცველები სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს და მედიის წარმომადგენლებს.

უფლებადამცველი ორგანიზაციები და სახალხო დამცველი აცხადებენ, რომ გადამეტებული ძალა გამოყენებული იქნა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგაც.

1 დეკემბერს, დღის 2 საათზე, გამოქვეყნებული ინფორმაციით, სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა აქციებიდან კლინიკებში გადაიყვანეს 44 დაშავებული, მათგან 27 აქციის მონაწილე, ერთი მედიასაშუალების წარმომადგენელია, 16 პოლიციელი.

29-30 ნოემბერს საპარლამენტო აქციიდან სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს 40 დაშავებული, ხოლო ღამით - 33 დაშავებული. ხელისუფლებას გაემიჯნა 100-ზე მეტი დიპლომატი, რამდენიმე ქვეყნის ელჩმა დატოვა თანამდებობა, პროტესტი გამოთქვა მოსამართლეთა ნაწილმა, განათლების სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებების სახელმწიფო მოხელეთა ნაწილმა.

,,მშვიდობიან აქციაზე“ ამ ოთხი დღის მანძილზე ერთი პიროვნებაც არ გამოსულა სიტყვით. მაშ, როგორი ,,მშვიდობიანია“ ეს აქცია, ვერ გავიგე.

ყველაზე მთავარი და შემაძრწუნებელია ის, რომ ამ ვანდალურ ფაქტებს არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ გამოხმაურებია, თითქოს ეს ქვეყანა მარტო ,,ქართული ოცნების“ საპატრონოა და მათ აკრძალული აქვთ ქვეყნის ინტერესების დაცვა.

ვანდალური ,,მშვიდობიანი აქციის“ მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, ძირითადად უფროსკლასელი მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ. ყველაზე აღმაშფოთებელი კი მაინც ისაა, რომ ამ ახალგაზრდების გვერდზე დგანან მცირეწლოვანი 10-12 წლის მოზარდები, რომელთა თვალწინ ამზადებენ ,,მოლოტოვის კოქტეილის“ ნაზავს და ბოთლებს სასროლად მათ აძლევენ.

ცალკე საუბრის თემაა ამ ახალგაზრდების და მცირეწლოვანების ოჯახების, მშობლების დამოკიდებულება ვანდალური ფაქტებისადმი. ნუთუ ერთი მშობელიც არ დაფიქრდა, თუ სად არის მისი პირმშო, რას აკეთებს მთელი ღამის მანძილზე. სამი-ოთხი დღე და ღამე შვილი სახლში არ ჰყავს, მშვიდად როგორ ძინავს მშობელს, მით უფრო მცირეწლოვანისას.

და ბოლოს, ვინ ზრუნავს ამ ,,მშვიდობიანი“ აქციის ჩატარებისათვის, ვინ აფინანსებს ვანდალიზმის ფაქტების მოსაწყობად ამ ახალგაზრდებს? (ალბათ გამოგიცდიათ 10-15 კაციანი ღონისძიება რომ ჩაატაროთ, უამრავი პრობლემა და ფინანსებია საჭირო) 500 თუ 5 ათასიანი აქციის ჩატარებას ყოველდღიურად ათასობით თანხა ესაჭიროება (მიკროფონები, დროშები, გამომსვლელები და ა.შ.). ახალგაზრდა აქტივისტების მომზადება და აქციაზე გამოყენება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული (კვება, სიგარეტი, მოლოტოვის კოქტეილი, საღებავები, ძვირადღირებული პიროტექნიკა, ტრანსპორტი გადასაადგილებლად და ა.შ.).

ამ მძიმე დღეებში არცერთი რადიკალური ოპოზიციის ლიდერი აქციაზე არ გამოჩენილა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპონტანურად შეიკრიბნენ ეს ახალგაზრდები და წინ აღუდგნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რაც დაუჯერებელია. გახსოვთ, ამ ზაფხულს, ბაკურიანის სასტუმროში ამერიკელი სპეციალისტი ტრენინგზე ლექციებს რომ უკითხავდა ახალგაზრდებს, ასეთივე შეხვედრა მზეთამზეში არსებულ სასტუმროშიც გაიმართა, სხვაგანაც. აი, ასე ამზადებენ ახალგაზრდებს ,,სამშობლოს სიყვარულის“ ლოზუნგით და ქვეყნის ასარევად, რადგან უფროსები ვერ აიყოლიეს, ახალგაზრდებს გადაუბრუნეს გონება.

2 დეკემბერს ტელევიზიამ მეტად სენსაციური ინფორმაცია გადმოსცა, პოლიციამ დააკავა **ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე**, რომელიც ამ აქციის სულისჩამდგმელია, მაგრამ იმავე დღეს გაათავისუფლეს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები სამომავლოდ. **ეყოფა თუ არა ხელისუფლებას ძალა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად? როგორი იქნება ხვალინდელი დღე არავინ იცის.**

P.S. **სულმნათი ვაჟა-ფშაველას ნათქვამი სტრიქონები გამახსენდა „ღმერთო გევედრები, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს საქართველო“.**

იქნებ, ამჯერად გადმოგვხედოს უფალმა და ეს ნატვრა აგვისრულოს.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ინფრასტრუქტურული პროექტები – მოქმედებაში!

პარკში სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოები დღეს-აც მიმდინარეობს. პროექტი ფართომასშტაბიანია და ის დაახლეობით სამ წელიწადს მოიცავს. სამუშაოების პარალელურად პარკს არ შეუწყვეტია ვიზიტორების მიღება.

როგორი იყო 2024 წლის ზაფხულის სეზონი სხვა წლებთან შედარებით და ამ ეტაპზე რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, ბორჯომის ცენტრალური პარკის დირექტორს, ბატონ ლერი გელაშვილს ინტერვიუ ვთხოვეთ:

● მას შემდეგ რაც ბორჯომის ისტორიული პარკის რეაბილიტაცია დაიწყო, ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პარკი დახურული იყო ვიზიტორებისათვის. როგორ გაუმკლავდით აღნიშნულ დეზინფორმაციას?

- გეთანხმებით, რომ რეაბილიტაციის დაწყებისთანავე შემოდიოდა უამრავი ზარი, შეტყობინება, პარკის ადმინისტრაციაში იმასთან დაკავშირებით, რომ პარკი მართლა სრულად იყო დაკეტილი თუ არა. რა თქმა უნდა, ჩვენი პასუხი იყო, რომ - არა, რადგანაც რეაბილიტაციის დაწყების ხუთიდან მხოლოდ ის ლოკაციები დაიკეტა, სადაც სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს. კონკრეტული ლოკაციები გადაიკეტა უსაფრთხოების სრული დაცვით და პარკის ვიზიტორებს პარკის სხვა ტერიტორიებზე თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება. მედია-საშუალებებითაც გავავრცელეთ, რომ ცრუ ინფორმაციას ნუ აყვებოდა ხალხი, რადგანაც ჩვეულებრივად შეძლებდნენ ვიზიტორები პარკში გადაადგილებას, მითუმეტეს პირველ ლოკაციამდე, ახუ პირველ ხიდამდე გზა სრულად თავისუფალი იყო გადაადგილებისათვის.



● წინა წლებთან შედარებით როგორ შეაფასებდით ვიზიტორების რაოდენობას?

- სამწუხაროდ, ივნისისა და ივლისის თვეებში, თითქმის აგვისტომდე ძალიან ცოტა რაოდენობის ვიზიტორი შემოვიდა. აგვისტოდან სექტემბრამდე შედარებით უკეთესი სიტუაცია იყო.

● საინტერესოა, რებილიტაციის დაწყებიდან დღემდე რა სახის სამუშაოები ჩატარდა და რა ეტაპზეა ახლა?

- სამუშაოები რეაბილიტაციის დაწყებიდან დღემდე იმ ლოკაციებზე მიმდინარეობს, რომლის დემონტაჟიც მოხდა. ესენია: ზღაპრის ქალაქი, რომელიც თითქმის დასრულების პირასაა, ასევე კეთდება ბაგირების ქალაქი, მიმდინარეობს ე.წ. პრომეთეს ტერიტორიის რეაბილიტაცია, ასევე ჩაისხა საყრდენი კედლები, რადგანაც მოძველებული იყო. მიმდინარეობს ჯაჭვების ატრაქციონის ტერიტორიაზე მუშაობა, ასევე ბოინგის ადგილზე დადგეს ცხენების ატრაქციონი. სწორედ ეს აღნიშნული ლოკაციებია, სადაც დემონტაჟი მოხდა და დღეს უკვე მიმდინარეობს მონტაჟი. სახამ სრულად არ დასრულდება, სხვა ლოკაციების გადაკეტვა არ არის დაგეგმილი.



● ზოგადად პროექტი, როგორც ვიცით, ფართომასშტაბიანია. ზუსტად რამდენ წელს მოიცავს და სრულად როდის დასრულდება პარკის რეაბილიტაცია?

- სამუშაო პერიოდი თითქმის სამ წელიწადზეა გათვლილი და კიდევ ორ წელიწადზე ცოტა მეტი დრო რჩება დასრულებისთვის. როგორც ვიცით, ბორჯომის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გარკვეული ხელისშემშლელი ფაქტორები, თუმცა მუშაობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და იმედს ვიტოვებთ, რომ დათქმულ ვადებში აუცილებლად ჩაეტევიან და ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი ერთ-ერთი გამორჩეული სივრცე იქნება ყველა ვიზიტორ-დამთვალიერებლისათვის.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

წიგნის თარო

საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

ნიკოლოზ მიხეილის-ძე რომანოვი

ბორჯომში და ლიკანის სასახლე

რომანოვის მემკვიდრემ, ნიკოლოზ მიხეილის ძემ კი საცხოვრებლად ლიკანი შეარჩია. იქ მან ჯერ საუცხოო პარკი გააშენა, შემდეგ კი 1892-1895 წლებში - დიდებული სასახლე ააშენა.

სასახლე რენესანსის სტილში დააგეგმარა არქიტექტორმა **ლეონიდ ბენუამ** (ცნობილი რუსი არქიტექტორის ნ.ლ. ბენუას ვაჟი). სასახლე 1896 წელს აშენდა თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორის **ლეოპოლდ ბილფელდის** (თბილისში ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძრის და ბევრი სხვა შენობის ავტორი) ხელმძღვანელობით. ხელოსნებად ბერძენი და იტალიელი ოსტატები ჰყავდათ მოწვეული.

ლიკანის ლამაზი სასახლე ჰარმონიულადაა ჩაწერილი მშვენიერ ლანდშაფტში, რომელიც ძირითადად მუხნარ-წიწვნარს წარმოადგენს და არაჩვეულებრივ პანორამად იკითხება. აქვეა მინერალური წყლის საბადო.

თავისი ისტორიის მანძილზე სასახლეს რამდენიმეჯერ შეეცვალა ფუნქცია: თავიდან სამეფო სასახლე იყო; 1921-1941 წლებში სანატორიუმად; შემდეგ - ჰოსპიტალად (1941-1945 წლებში); 1960 წლიდან კი - მე-4 მთავარი სამმართველოს სანატორიუმია, სადაც იკრიბებოდნენ სტუმარ-დამსვენებელი საბჭოთა კავშირის დროს ყველა ქვეყნიდან, ოჯახის წევრებთან ერთად. აქ იმართებოდა სიმპოზიუმები, კულტურული ღონისძიებები, პოლიტიკური თათბირები, საჭადრაკო შეჯიბრებებიც კი. 1970-2000 წლებში კომპლექსი იწოდებოდა სამთავრობო რეზიდენციად.

გულისტკივილით მინდა ავღნიშნო, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების ვანდალებმა მოანგრიეს ხელოვნების ქმნილებები, მოიპარეს ქანდაკებები: გოჭი, ინდაური და სხვა. აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს ბორჯომის ხეობას, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში, რომანოვების ეს ძვირფასი კომპლექს-მუზეუმი, რომელიც საერთაშორისო შეხვედრების, სპორტსმენთა გადამზადების, მშრომელთა, უბრალოდ მოქალაქეთა დასვენებისა და მკურნალობის კერა იყო, იქაურობა იმავდროულად დარგების: კურორტოლოგიისა და ბალნეოლოგიის განვითარების ცენტრის ფუნქციებს ითავსებდა გაურკვეველი კანონ-დადგენილებით, გაუქმდა და დანგრეული იქნა, ხოლო დიდი ნაწილი - პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენციად გამოცხადდა.

სასახლე სავალალო დღეშია, ერთ დროს სასახლის ,,ედემის ბაღი“ გაპარტახებულია. მოიჭრა 500-ზე მეტი გამხმარი ხე, მის აღდგენას ალბათ ათეულობით წელი დასჭირდება.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №45,46, 47, 48 2024წ.

ცოტაოდენი რამ თქვით ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვზე

ნიკოლოზი 1862 წლიდან (როდესაც მისი მამა კავკასიის მეფის ნაცვლად დაინიშნა) ტფილისში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. შინაურულ-გუვერნანტული განათლების მიღების შემდეგ ის სამხედრო განათლებას აზიარეს. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში.

1903 წელს ნიკოლოზ მიხეილის ძე, გენერალ-ლეიტენანტის ჩინით, გადადგა სამხედრო სამსახურიდან. მას მამისაგან მემკვიდრეობაში დარჩა დიდი ქონება, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილზე არსებული მიწების სახით. მათ შორის - მამულები ბორჯომში **(6 9513 დესიატინა).**

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკოლოზ მიხეილის ძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი **ლეპიდოპტეროლოგიის** (მეცნიერება პეპლებზე) განვითარებაში. ბორჯომში მან 110 000 ნაირსახეობის პეპლის კოლექცია შექმნა. მთელი ეს მართლაცდა განძი ნიკოლოზ მიხეილის ძემ, 1900 წელს, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის მუზეუმს გადასცა. ოცდაათმა სეიფმა ძლივს დაიტია კოლექცია. ერთ-ერთი სეიფი, რომელიც ლიკანში ჰქონდა, დიდმა კნიაზმა 1900 წელს, საქართველოს უსახსოვრა და ტიფლისის კავკასიურ მუზეუმშია (დღეს, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში) გადატანილი.

მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, ნიკოლოზ რომანოვი 1915 წელს წარადგინეს მოსკოვის უნივერსიტეტის დოქტორად რუსული ისტორიის ხაზით. იმავდროულად ნ.რომანოვი რუსეთის გეოგრაფიული და რუსეთის ისტორიული ძეგლების დაცვის საზოგადოებების თავმჯდომარეც იყო.

ამ საინტერესო ადამიანს ბორჯომში მხოლოდ ლამაზი ბუნება და მონადირეობა კი არ იზიდავდა, არამედ ცნობილია, რომ იგი შეყვარებული იყო **ვარვარა დავითის ასულ რომანენკოზე.** ვარვარა რომანენკო პატარა გოგონა იყო, როდესაც მისი ოჯახი უკრაინიდან, კერძოდ, პოლტავიდან ნაღვერში ჩამოუსახლებიათ. მან კარგად იცოდა ქართული, რუსული და უკრაინული ენები, ამიტომ შესანიშნავად ართმევდა თავს დიასახლისად მუშაობას ლიკის სასახლეში, სადაც ვარვარა 1949 წლამდე მსახურობდა. სასახლის დიასახლისმა 1958 წლამდე იცხოვრა და იცოცხლა ბორჯომში. სამწუხაროდ, ვარვარა დავიდოვნამ, რომელიც ფაქტობრივად რომანოვების, უფრო მეტად კი ნიკოლოზ მიხეილის ძის მემატიანე იყო, არ ისურვა ისტორიკოსებთან და მუზეუმთან თანამშრომლობა და მეტად მნირი ისტორიული მასალა დატოვა რომანოვებზე.

მსოფლმხედველობით ლიბერალ-ოპოზიციონერი, ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი, ბორჯომში **„ველიკი კნიაზად“** წოდებული, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დახვრიტეს, როგორც რომანოვების გვარის წარმომადგენელი.

სასახლის ცალკეული კორპუსები 1922 წლიდან უკვე სანატორიუმებად ფუნქციონირდებოდა. აქ ძირითადად ისვენებდნენ ქვეყნის პირველი პირები (მათ შორის: ი. სტალინი (ორჯერ), მოსკოვის კრემლის პოლიტბიუროს წევრები გ. დიმიტროვი, შემდგომ პერიოდში: ვ. მჟავანაძე, ედ. შევარდნაძე, ჯ. პატიაშვილი), საბჭოთა კოსმონავტები, სახელოვანი მეცნიერები, სპორტსმენები, მსახიობები და სხვა.

ლიკანის სასახლეს 1978-1986 წლებში რესტავრაცია ჩაუტარდა. შემონახული დოკუმენტებისა და მასალათა მიხედვით, აგრეთვე მოსახლეობის მეხსიერების საფუძველზე ახალი დროის არქიტექტორებმა აღადგინეს შენობის იერსახე. ერთ-ერთ მაცხოვრებელს კი, იმ ქსოვილის ნიმუშიც კი აღმოაჩნდა, რომლითაც მოპირკეთებული იყო სასახლის სასტუმრო. ნიმუშის საფუძველზე, მოსკოვის სვერდლოვის სახელობის აბრეშუმის საქსოვმა კომბინატმა, მსგავსი ქსოვილი შექმნა და სწორედ იმით დაიფარა სასტუმრო ოთახის კედლები.

შემდეგ ამ კომპლექსის ორი მესამედის მფლობელი ყაზახური კომპანია გახდა, ხოლო დარჩენილ ერთ მესამედს, ანუ ძირითად ისტორიულ ნაწილს, პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** დაეპატრონა და შენობის შიგნით მოახდინა მთელი რიგი არასწორი სამშენებლო რეკონსტრუქციები, ნგრევა და ისევ გადაკეთებები...

ქართველმა არქიტექტორ-რესტავრატორებმა შექმნეს სასახლის აღდგენის ახალი ვარიანტი, რომელიც პრეზენტაციაზე იქნა გამოტანილი 2018 წელს, როგორც „ბორჯომი მუზეუმების ქალაქის“ შემადგენელი ერთი პროექტთაგანი. პროექტი ძალზედ მომხიბვლელია, მასში იგულისხმება, როგორც სასახლის რესტავრაცია, ისე რომანოვების დროინდელი სხვა ნაგებობათა აღდგენა, აგრეთვე სიახლეთა შეტანა სასახლე-მუზეუმის ახლებურად ფუნქციონირებაში. არა მარტო ბორჯომელები, არამედ მთელი საქართველო ელოდება ამ პროექტის განხორციელებას!..

მარიკა გელაშვილი.

(გაგრძელება იქნება)



ვულოცავთ!

ჩვენს ერთგულ მეუღლეს, ბედნიერ დედას, მრავალრიცხოვანი შვილიშვილების საყვარელ ბებიას **გულნაზი ბეშკენაძეს** ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და ღვთის წყალობას.

მეუღლე ბონდო ბეშკენაძე, შვილები შორენა, ნათია, მამუკა, რძალი ელისო და ცხრა შვილიშვილი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს

შენ საქებელად, სამადლობელად,
სიტყვა უძლურ არს, სიტყვა ამაო,
დედამიწაზე უკვე წმინდანო,
მადლობა უფალს შენთვის მამაო.
დაბნეულ ცხვრებს რომ მწყემსი - კეთილი
საფრთხისგან იცავს, მგლისგან სერისა,
სამშვიდობოზე გზას გაუყენებს,
ისე გამოჩნდი მხსნელად ერისა.
ხევის ქარაფებს, მთის წმინდა ჰაერს,
შენს ბუნებაში დაუდეს ბინა,
სიმტკიცის გვერდით სათუთი გული,
სულის სინაზე, ვინ დაგიდგინა.
შენი ლოცვა და შენი ვედრება
ჩვენს მრავალტანჯულ მართალ ერს იცავს,
ბევრსაც იცავდნენ, ვერ მოგერივნენ,
შენ ხომ თვით ღმერთი, უფალი გიცავს...
გულიც გატკინეს, ვერ შეგარყიეს,
დაცემულთ, უღირსთ შეგადარესო,
შენი მადლი და შენი დალოცვა,
ყველა კუთხეს და ყველა მხარესო.
დიდხანს გვიძღოდე, ტკბილო მოძღვარო,
უწმინდესო და უნეტარესო.

ოლიკო ლომიძე

სასმელი წყალი ყაირათიანად მოიხმარეთ

წაღვერში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოქალაქემ მოსახლეობას თხოვნით მიმართა, რომელიც ზამთრის მოახლოებასთან ერთად იმ პრობლემების გამწვავებას უკავშირდებოდა, რაც მუდამ თანმდევია ჩვენი მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებისათვის.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ მიმართვის ტექსტში ვკითხულობთ:

წაღვერის მოსახლეობის საყურადღებოდ!

გთხოვთ, თითოეულმა ოჯახმა ზამთრის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით მოაწესრიგოთ სასმელი წყლის სისტემა, რათა ყინვისას ხშირად არ მოხდეს სათავე-ნაგებობიდან წყლის სისტემის გადაკეტვა, რომელიც შემდეგ ოჯახებში იწვევს სასმელი წყლის მილების გაყინვას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ!

არამარტო წაღვერში მცხოვრები მოსახლეობა, არამედ ცემში მცხოვრები მოქალაქეების უმრავლესობა იდენტურ პრობლემაზე საუბრობს, სადაც ზამთრის პერიოდში მაღალი ყინვებისას, პრობლემის მოგვარებას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

- აუცილებელია, შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ აღნიშნული საკითხი, რათა ჩვენდაუნებურად არ დავაზარალოთ ერთმანეთი და ასეთ პირობებში წყლის გარეშე არ დარჩეს ოჯახები. მუდმივად გვიწევს ამ პრობლემაზე საუბარი და ვიმედოვნებ, ერთად შევძლებთ მეტი მობილიზებით პრობლემის დაძლევას, - გვითხრა ქალბატონმა მზიამ.

მოსახლეობის ნაწილი პრობლემაზე საუბრისას ხაზს უსვამს თვით სათავე-ნაგებობის გაუმართავ მუშაობას, რომელიც წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემას უკავშირდება.

აღნიშნავენ, რომ წყლის სისტემებს ოჯახებში მუდმივად აწესრიგებენ, მაგრამ როდესაც წყალი ფოთლებს შემოიტანს მილებში და გაიბიდნება, ამას თან დაერთვება ყინვაც, ვითარება კიდევ უფრო უარესდება.

- ჩვენ, ყოველთვის ონკანს ვტოვებთ ღიას, რომ თავიდან ავირიდოთ ყინვისგან გამოწვეული არასასიამოვნო სიურპრიზები, მაგრამ შესაძლოა, სადღაც, მეზობელს შეექმნას პრობლემა, ან ჩვენც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. მილების გადაკეტვით გაგვიყინავს ონკანებში წყალს. ასე ჯაჭვურად ებმის ერთმანეთს პრობლემები ზამთრის დღეებში. სიტყვიერადაც ვაფრთხილებთ ერთმანეთს და შემდეგ ფიზიკურად გვიწევს ჩვენი ძალებით მოვაგვაროთ წყლის პრობლემა, დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით, - გვითხრა ცემში მცხოვრებმა გიორგი პაპამ.

იზა იანვარაშვილი

რედაქციის მინაწერი: სასმელი წყლის პრობლემა წაღვერში, ახალდაბაში, ცემში და სხვაგანაც წლების მანძილზე მოუგვარებელია. წაღვერში წელს დაწყებული სამუშაოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამ თემაზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. რაც შეეხება ზამთარში სასმელი წყლის გაყინვის პრობლემას, ნამდვილად ვუთანაგრძნობთ მოსახლეობას. რჩევის სახით კი ვეტყვით, რომ კარგი იქნება, თუ სასმელი წყლის მილს საცხოვრებელ სახლში შეიყვანენ, სამზარეულოში ან საპირფარეშოში, თქვენი პრობლემაც იოლად გადაწყდება. ეზოში არსებული სასმელი წყლის ონკანის დღე-ღამის განმავლობაში მოშვებული დატოვება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას, სასმელ წყალს ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც გარემოს.

წყალი ყაირათიანად უნდა მოვიხმაროთ, მაშინ პრობლემებიც აღარ იქნება.



სპორტი

ტურნირი ფრენბურთში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით ბორჯომში არსებულ წარმოება-დაწესებულებებს შორის ფრენბურთში ტურნირი გაიმართა. I ადგილზე გასულ საგანმანათლებლო რესურსცენტრის გუნდს 1500 ლარი, II ადგილზე გასულ ბაკურიანის განვითარების საგენტოს გუნდს 1000 ლარი, ხოლო III ადგილზე გასულ საქართველოს მინერალური წყლების ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის გუნდს 500 ლარი გადაეცემათ.

აღსანიშნავია, რომ წარმოება-დაწესებულებებს შორის შეჯიბრებების გამართვა მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციაა, ის ყოველწლიურად იმართება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების გააქტიურებას, მათ წახალისებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

სილუეტი „ოსკარის“ მფლობელია



თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფმა „სილუეტმა“, 30 ნოემბერს, თბილისში გამართულ კონკურს-ფესტივალზე, სახელწოდებით ,,გახდი ოსკაროსანი“ მთავარი ჯილდო ,,ოსკარი“ მიიღო, **ხოლო „ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“** ანსამბლის ხელმძღვანელს **გოგი ხიდირბეგიშვილს** მადლობის სიგელი გადაეცა. კონკურს-ფესტივალი ორი დღის მანძილზე, 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს ორ-ორ ეტაპად ჩატარდა, სადაც ქვეყნის საუკეთესო ანსამბლები იღებდნენ მონაწილეობას. თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფი ,,სილუეტი“-30 ნოემბერს წარსდგა ჟიურის წინაშე. პირველ განყოფილებაში 22 ანსამბლი და 2500 მონაწილე იყო, რაც უფრო ზრდიდა კონკურენციას. კომპეტენტური ჟიურის მიერ განაწილდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსები.

ხატია ხიდირბეგიშვილი ჯგუფ **„სილუეტის“** ქორეოგრაფი: - ჩვენ კონკურსში ორი ნომრით მივიღეთ მონაწილეობა. წარმოვადგინეთ ორი საცეკვაო ნომერი ,,დისკო“ და შოუ დენს „მალეფისენტა“. კონკურენციის მიუხედავად გადმოგვეცა საბერძნეთის საერთაშორისო კონკურსის მიწვევა - სადაც მონაწილეობას მივიღებთ საქართველოს სახელით, რომელიც გაზაფხულზე ჩატარდება.

იმედი გვაქვს, რომ კიდევ ბევრჯერ ღირსეულად, წარმატებით წარვადგენთ ჩვენს ქალაქსა და ქვეყანას. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი ანსამბლის მშობლებს გვერდში დგომისათვის.

ნაზო მელიქიძე

ჩვენს მკითხველებს!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „ბორჯომზე“ 2025 წლისათვის.

შეგახსენებთ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ერთგულად და უღალატოდ დგას თქვენს სამსახურში. არის თქვენი ერთგული მრჩეველი, მეგობარი და გულშემატკივარი.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე, გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 555 236 975.

მოგიწოდებთ, გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“, რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სიცელქეს

4 წლის ბიჭმა ისრაელის მუზეუმში 3 500 წლის არტეფაქტი გატეხა.

არიელ გელერი ჰაიფას ჰეხტის მუზეუმს მამასთან, ალექს გელერთან ერთად სტუმრობდა. როგორც ალექსმა მოგვიანებით გაიხსენა, მან ყურადღება ზუსტად ერთი წუთით გადაიტანა ექსპონატისკენ, ეს დრო კი პატარა ცნობისმოყვარე ბიჭისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ უძველეს ჭურჭელს ხელით შეხებოდა.

როგორც ექსპერტები განმარტავენ, ჭურჭელი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება და ძვ.წ. 2200 - 1500 წლით თარიღდება. სავარაუდოდ, ის ღვინის ან ზეთის შესანახად გამოიყენებოდა. ჰეხტის მუზეუმში არტეფაქტი დამცავი მინის გარეშე იყო გამოფენილი.

,,მიტრიალებისას მსხვრევის ხმა გავიგე და გავიფიქრე - ღმერთო, გთხოვ, ამის ავტორი ჩემი შვილი არ იყოს. სამწუხაროდ, გვიანი აღმოჩნდა. უძველესი ვაზა ნაწილებად იყო გადაქცეული. ჩემი შვილისა და ოჯახის სახელით, დიდ ბოდიშს ვუხდი მუზეუმს და არტეფაქტებით დაინტერესებულ ყველა პირს“, - ამბობს ალექსი.

მუზეუმის ადმინისტრაციამ შემთხვევა მალევე ვიდეოჩანაწერებში გადაამოწმა. როგორც განმარტავენ, საქმე არ ეხება ვანდალიზმს და „ეს უბრალოდ ცნობისმოყვარეობამ გამოიწვია“. არტეფაქტი მალევე რესტავრატორებს გადაეცათ, 4 წლის არიელი კი მეგობრებთან ერთად მუზეუმის ტურზე უსასყიდლოდ დაპატიჟეს.

ოჯახი და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გულო ჯავახიძის

გარდაცვალებას!

დაკრძალვა 5 დეკემბერს, 14 საათზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი